

# საფეხბურთო კლუბი ზესტაფონი

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური  
ანგარიშგება

# საფეხბურთო კლუბი ზესტაფონი

## სარჩევი

---

### გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-3
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება:	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
დაფინანსებისა და ხარჯების ანგარიშგება	5
ნაშთების ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8-12



ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად საფეხბურთო კლუბი ზესტაფონის ფინანსურ მდგომარეობას 2021 ის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ მიერ წარმოებული დაფინანსებისა და ხარჯების ანგარიშგებას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ნაშთების ცვლილების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კლუბის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კლუბის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კლუბში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომლებიც წარმოადგენს და ხსნის კლუბის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კლუბის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და რომლებიც უზრუნველყოფს მცირე და საშუალო საწარმოების (მსს) ფასს-ების მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კლუბის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2022 წლის 20 მარტს.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

---

**ჯაბა დვალი**  
დირექტორი  
2022 წლის 20 მარტი

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საფეხბურთო კლუბი ზესტაფონის ხელმძღვანელობას

### დასკვნა

საფეხბურთო კლუბი ზესტაფონი („კლუბი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე დაფინანსებისა და ხარჯების ანგარიშგებას, ნაშთების ცვლილების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ძირითად სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს საფეხბურთო კლუბი ზესტაფონის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კლუბისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მსს ფასს-ების შესაბამისად, და შიდა კონტროლის სისტემის უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მიიჩნევა აუცილებლად ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კლუბის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კლუბის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ კლუბის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ,

ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მამინ, როდესაც, ინდივიდუალურად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კლუბის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კლუბი აიძულოს, შეწყვიტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და, ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამის ტრანზაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

შპს „ალგი აუდიტი“-ს სახელით

კახაბერ თეთრუაშვილი

2022 წლის 20 მარტი

თბილისი, საქართველო

საფეხბურთო კლუბი ზესტაფონი  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
<b>აქტივები</b>			
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	5	2,178,905	2,303,061
არამატერიალური აქტივები		13,259	14,584
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>2,192,164</b>	<b>2,317,645</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>			
მარაგები	6	37,062	54,892
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		28,158	17,349
ფული და ფულის ექვივალენტები		13,405	19,925
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>		<b>78,625</b>	<b>92,166</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>2,270,789</b>	<b>2,409,811</b>
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>			
<b>კაპიტალი და რეზერვები</b>			
საწესდებო კაპიტალი	7	12,702,457	12,702,457
გაუნაწილებელი მოგება		(16,524,581)	(15,876,485)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>(3,822,124)</b>	<b>(3,174,028)</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
სესხები	8	6,034,172	5,516,892
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>6,034,172</b>	<b>5,516,892</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		34,770	51,394
საგადასახადო ვალდებულებები		23,971	15,553
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>		<b>58,741</b>	<b>66,947</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>6,092,913</b>	<b>5,583,839</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>2,270,789</b>	<b>2,409,811</b>

ხელმძღვანელობის სახელით:

\_\_\_\_\_

ჯაბა დვალი  
დირექტორი  
2022 წლის 20 მარტი

**საფეხბურთო კლუბი ზესტაფონი**

მოგება-ზარალის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2021	2020
სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან		155,525	50,000
შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან		62,822	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი		94,944	2,247
<b>სულ შემოსავალი</b>		<b>313,291</b>	<b>52,247</b>
ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება		(220,900)	(72,564)
ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი		(1,058)	(17,226)
<b>სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები</b>		<b>(221,958)</b>	<b>(89,790)</b>
თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი		(156,496)	(115,698)
<b>სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები</b>		<b>(156,496)</b>	<b>(115,698)</b>
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არაა გამოყოფილი	9	(323,403)	(164,068)
<b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯები</b>		<b>(323,403)</b>	<b>(164,068)</b>
ძირითადი საშუალებების ცვეთა		(156,646)	(230,515)
სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)		(1,326)	(1,989)
<b>სულ ცვეთა და ამორტიზაცია</b>		<b>(157,972)</b>	<b>(232,504)</b>
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		16,144	16,222
ფინანსური ხარჯი		(89,224)	(354,791)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა		(28,478)	(28,501)
<b>მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადებამდე</b>		<b>(648,096)</b>	<b>(916,883)</b>
მოგების გადასახადი		-	-
<b>პერიოდის მოგება/(ზარალი)</b>		<b>(648,096)</b>	<b>(916,883)</b>

ხელმძღვანელობის სახელით:

ჯაბა დვალი

დირექტორი

2022 წლის 20 მარტი

საფეხბურთო კლუბი ზესტაფონი  
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	12,702,457	(15,876,485)	(3,174,028)
სულ პერიოდის ზარალი	-	(648,096)	(648,096)
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	12,702,457	(16,524,581)	(3,822,124)

ხელმძღვანელობის სახელით:

ჯაბა დვალი  
დირექტორი  
2022 წლის 20 მარტი



**საფეხბურთო კლუბი ზესტაფონი**  
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2021	2020
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>(446,720)</b>	<b>(313,089)</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	15,000	-
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად გადახდილი თანხები	(3,304)	-
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	(3,273)	(563)
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული</b>	<b>8,423</b>	<b>(563)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>		
მიღებული თანხები სესხებიდან	431,777	247,232
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული</b>	<b>431,777</b>	<b>247,232</b>
<b>წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში</b>	<b>(6,520)</b>	<b>(66,420)</b>
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	19,925	86,345
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>13,405</b>	<b>19,925</b>

ხელმძღვანელობის სახელით:

ხელმძღვანელობის სახელით:

\_\_\_\_\_  
**ჯაბა დვალი**  
 დირექტორი  
 2022 წლის 20 მარტი

## საფეხბურთო კლუბი ზესტაფონი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ ს/კ 230091664 დაარსდა 2007 წლის 18 აგვისტოს. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2008 წლის 2 ივნისს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მესაკუთრეა ირინა ბრეგვაძე 54001003592.

კომპანიის იურიდიული მისამართია ქალაქი ზესტაფონი, სტაროსელსკის #2.

საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“-ს დაფუძნებისას კლუბის ხელმძღვანელების იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ ზესტაფონი შექმნილიყო ზღვიანობის და სპორტის განვითარების მიზნით. კლუბის დაფუძნებისას მთავარი მიზანია საქართველოს საფეხბურთო კლუბების დონის ამაღლება და საქართველოს საფეხბურთო კლუბების დონის ამაღლება. კლუბის დაფუძნებისას მთავარი მიზანია საქართველოს საფეხბურთო კლუბების დონის ამაღლება და საქართველოს საფეხბურთო კლუბების დონის ამაღლება.

თანამდროვე საკლუბო საქმიანობის განხორციელების მიზნით, კლუბის დაფუძნებისას მთავარი მიზანია საქართველოს საფეხბურთო კლუბების დონის ამაღლება და საქართველოს საფეხბურთო კლუბების დონის ამაღლება.

საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ დაფუძნებისას მთავარი მიზანია საქართველოს საფეხბურთო კლუბების დონის ამაღლება და საქართველოს საფეხბურთო კლუბების დონის ამაღლება. კლუბის დაფუძნებისას მთავარი მიზანია საქართველოს საფეხბურთო კლუბების დონის ამაღლება და საქართველოს საფეხბურთო კლუბების დონის ამაღლება.

საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ დაფუძნებისას მთავარი მიზანია საქართველოს საფეხბურთო კლუბების დონის ამაღლება და საქართველოს საფეხბურთო კლუბების დონის ამაღლება.

საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ დაფუძნებისას მთავარი მიზანია საქართველოს საფეხბურთო კლუბების დონის ამაღლება და საქართველოს საფეხბურთო კლუბების დონის ამაღლება.

საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ დაფუძნებისას მთავარი მიზანია საქართველოს საფეხბურთო კლუბების დონის ამაღლება და საქართველოს საფეხბურთო კლუბების დონის ამაღლება.

### 2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ბუღალტრული ჩანაწერები მომზადებულია და ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთი ლარის სიზუსტით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

#### ფული და ფულის ეკვივალენტები

8-12 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## საფეხბურთო კლუბი ზესტაფონი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში. და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე.

### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი/ ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთის/ამორტიზაციის და გაუფასურების ხარჯი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს. ძირითადი საშუალებების ერთეულის ისტორიული ღირებულება მოიცავს:

- მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე.
- ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისთვის. ეს დანახარჯები შეიძლება მოიცავდეს აქტივისთვის ადგილის მომზადების დანახარჯებს, ჩატვირთვა/გადმოტვირთვის მონტაჟისა და აწყობის დანახარჯებს. ასევე მისი ფუნქციური შესაძლებლობების ტესტირების დანახარჯებს.
- შემდგომი კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაუმჯობესების მნიშვნელოვან დანახარჯებს, რომელთა მიზანია აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის გახანგრძლივება ან მისგან მიღებული შემოსავლის ზრდა. რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომლების კაპიტალიზაციის ამ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებენ, გაწევისას აღირიცხება მოგება -ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.
- მიწასა და აქტივებს, რომლებიც ჯერ არ შესულან ექსპლუატაციაში ცვეთა არ ერიცხებათ. სხვა ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხორციელდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

### სასაქონლო მარაგები

საბვაჭრო საქონელი, ასევე სხვა მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

### ამონაგების აღიარება

ამონაგები არის კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვისა და მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულება. ამონაგები წარმოდგენილია დამატებითი

8-12 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

---

ღირებულების გადასახადის, საქონლის დაბრუნების, ფასდათმობების და მარკეტინგული აქტივობის დანახარჯების გამოკლებით.

ამონაგები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.

### **სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები**

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება ზარალში, როდესაც იქნა გაწეული.

### **სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება**

კრედიტორები წარმოადგენს ვალდებულებას საწარმოსთვის, ყოველდღიური საქმიანობის პირობებში, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთვის. კრედიტორები კლასიფიცირდება მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებად.

### **ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც საზოგადოების თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

## **4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.**

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება, ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორებს. რომელიც მართებულად ითვლება.

### **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდი**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, სავარაუდო ტექნიკური მოძველების პარამეტრებს. სასარგებლო მომსახურება კატეგორიების მიხედვით შემდეგია.

## **5. ძირითადი საშუალებები**

**საფეხბურთო კლუბი ზესტაფონი**  
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

პირითადი საშუალებები	მიწა	სტადიონი და სათამაშო მოედნები	დაუმთავრებელი შენიშვნა	ავჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ჯამურად
<b>საწყისი ღირებულება</b>						
ბალანსი 31 დეკემბერი, 2020	242,265	3,391,887	1,308,093	1,215,113	48,457	6,205,815
დანამატები	-	29,218	-	3,272	-	32,490
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
ტრანსფერი	-	8,462	(8,462)	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი, 2021	242,265	3,429,567	1,299,631	1,218,385	48,457	6,238,305
<b>აკუმულირებული ცვეთა</b>						
ბალანსი 31 დეკემბერი, 2020	-	(2,904,453)	-	(952,749)	(45,552)	(3,902,754)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(114,397)	-	(41,379)	(870)	(156,646)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი, 2021	-	(3,018,850)	-	(994,128)	(46,422)	(4,059,400)
<b>წმინდა ღირებულება</b>						
ბალანსი 31 დეკემბერი, 2020	242,265	487,434	1,308,093	262,364	2,905	2,303,061
ბალანსი 31 დეკემბერი, 2021	242,265	410,717	1,299,631	224,257	2,035	2,178,905

**6. მარაგები**

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ინვენტარი	37,062	44,414
მინდვრის მასალა	-	10,478
<b>სულ მარაგები</b>	<b>37,062</b>	<b>54,892</b>

**7. საწესდებო კაპიტალი**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოების საწესდებო კაპიტალი უცვლელია და შეადგენს 12,702,457 ლარს. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის 100%-იანი მფლობელია ირინე ბრეგვაძე - 54001003592.

**8. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არაა გამოყოფილი**

8-12 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**საფეხბურთო კლუბი ზესტაფონი**  
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	<b>2021</b>	<b>2020</b>
სპორტული ინვენტარის ხარჯები	11,872	7,395
ფეხბურთის საწევრო და სხვა გადასახადი	17,850	1,000
საკონსულტაციო ხარჯები	1,610	500
ფეხბურთელის შეძენის ხარჯები	3,304	-
ფეხბურთელის საცხოვრებლით უზრუნველყოფა	78,072	23,380
ჭაბუკთა ლიგის მონაწილეების ხარჯები	24,366	17,765
კომუნიკაციის ხარჯები	3,435	3,184
მივლინება	3,184	5,717
მინდვრისა და მისი ტექნიკის მოვლა	82,898	68,748
დაცვის მომსახურება	21,458	16,463
კომუნალური ხარჯი	34,390	16,297
საწვავის ხარჯი	1,297	1,011
წარმომადგენლობითი ხარჯი	3,425	1,200
სხვა	36,242	1,408
<b>ჯამი</b>	<b>323,403</b>	<b>164,068</b>

**9. საანგარიშგებოპერიოდს შემდგომ მომხდარი მოვლენები:**

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელის მიერ 2022 წლის 20 მარტს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.